სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა
ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
დ შეიძლებათ რედაქციის დილის
-3 საათამდე და საღამოს 6—8
„წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ელ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

რის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე-
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გაზეთი

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



ქეფირი და კუმისი




ერთად ერთა ქარხანა, რომელიც არსებ-
ობს 1887 წ.
მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილ-
დოვებული ორს გამოფენაზე.
იყიდება მხოლოდ ო. კორონახთან ლორის-მელიქოვის ქუ-
ჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგა-
დოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—22) ო. კორონა.

ვ. ბუნიას სტამბა
ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარა-
თებს და სხვა.
ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

ექიმი
ვ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დი-
ლის 11—12-მდე და საღამოს 7—
8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
კურნალოში 50 საწოლია ავად-
ფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-
შინაგანისა, ნერვების, საქირურ-
თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
დამლებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
დმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. ქ. ზერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოზანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ქ.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი,
საექიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისათვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია
Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ

# ახალი ამბავი

*** მთავარ მართებლის ჩამობრძანება. როგორც ისმის მთავარმართებელი თავ. გოლიცინი ტფილისს ჩამოვა ორშაბათს 24 მაისს.

*** ქართული საქველ-მოქმედო წარმოდგენა ბათომში. 30 მაისს დანიშნულია ქ. ბათომში საქველმოქმედო წარმოდგენა ადგილობრივ წერა-კითხვის გამავრცელებელ სკოლის სასარგებლოდ. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ნიჭიერნი მსახიობნი ნ. გაბუნია ცაგარლისა და ვ. აბაშიძე.

*** სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი გროზდოვის გადაყვანა. „ნოვ. ობ." იუწყება, რომ სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი გროზდოვი თანახმად თავისავე თხოვნისა გადაყავთ ვარშავის ოლქში.

*** საქმობა ქალაქის გამგეობაში. ამ ზაფხულს დაიწყება საქმობა დილის 9 საათზედ და 2 საათზედ გათავდება.

*** გურია სამეგრელოს ეპისკოპოსის კათედრა, როგორც „ტფ. ფურცელი". ამბობს ფოთიდან უნდა გადიტანონ ქალაქ ოზურგეთში. ჩვენ ეს ხმა ტყუილი გვგონია, რადგან ქალაქი ფოთი უფრო მოხერხებულია ეპისკოპოსის კათედრისათვის და გურია-სამეგრელოს შუა ალაგას არის.

*** საქართველოს ისტორია ფრანგულ ენაზე. ჩვენ გვწერენ, რომ რომში მცხოვრებ ქართველს ბერს მიხეილ თამარაშვილს ფრანგულს ენაზე დაუწერია საქართველოს სამოქალაქო ისტორია და ქართველ კათოლიკების ისტორია. ორივ წიგნი საფრანგეთშივე გამოიცემიან ცალკე. საქართველოს ისტორიაში დიდი ძალი უცხო ცნობებია საქართველოს შესახებ მოთავსებული, რომელიც რომის სხვა-და-სხვა ძველს არხივებში აღმოჩნდა ამ უკანასკნელს ხანებში.

*** სწრაფი მატარებელი ბათომსა და ბაქოს შორის. ამ ჟამად ყველამ უწყის ბათომსა და ბაქოს შორის ორ-ორი მატარებელი დადის ხოლო რადგან მოძრაობა ამ გზაზე დღითი დღე მატულობს, მიტომ რკინის გზის გამგეობას აზრად აქვს მესამე მატარებელიც ატაროს ბაქოსა და ბათომს შორის და ამ მატარებელს, უწოდოს სწრაფი, რადგან ის უფრო სწრაფად ივლის და გაჩერდება მხოლოდ დიდს სადგურებში.

*** ქვემო მაზნიანის ქსენონის კურთხევა და გახსნა, როგორც ისმის დანიშნულია ამ თვის დამლევს ანუ ივნისის პირველ რიცხვებში. ქსენონის კურთხევას, როგორც ისმის დაესწრება ახლად დანიშნული კავკასიის საექიმო უწყების გამგებელი ბ-ნი ა. ი. სმირნოვი. და სხვა საპატიო პირებიცა. შესაძლებელია, რომ ქსენონის გახსნას დაესწროს თვით ახალი გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი.

*** სამღრთობა. დადგა მაისის ნახევარი და ტფილისში, სხვა და სხვა ხელოსანთა ამქრებმაც შეგირდების დალოცვა და სამღრთობა დაიწყეს. ისე კვირა არ გავა, რომ ქალაქის განაპირა ბაღებში რამდენსამე ხელოსანთა ამქრებს სამღრთო არ ჰქონდეთ.

ეს წეს ჩვეულება საქართველოს ხელოსნებში ძველიდგანვე გავრცელებულია, იგი მოგვაგონებს ძველს ქართველთა ხელოსანთა დროებას და წეს-ჩვეულებას, როდესაც მათში ამქრული წესწყობილება მტკიცეთ სუფევდა და რომელ წესებიც ხელოსანთა ცხოვრებას ბევრ ნაირს სასიკეთოს მხარეებით მოსავდა. დღეს კი ყველა ესენი ნელ-ნელა დავიწყებას ეძლევა.

*** მეფურნეთა თავგასულობა. არ იქნა და არა ეშველა-რა მეფურნეების თავგასულობას, რა ნიხრიც უნდა დააწესოს ქალაქის გამგეობამ, ისინი მაინც თავისას არ იშლიან და როგორც თითონა ჰსურთ ისე ჰყიდიან პურს. ამისი მაგალითი ბევრია, მაგრამ, შორს რომ არ წავიდეთ, მოვიყვან აქვე 16 მაისს მომხდარ ამბავს: ნიკოლაოზის ქუჩაზე ერთს სომეხს კათოლიკეს, გვარად ლაზიანს ფურნე აქვს გამართული ზემოხსენებულს დღეს შევიდა შიგ სამი მუშა, რომელთაც თითო შაურის პური უნდოდათ მეორე ხარისხისა. ნიხრის მიხედვით მეფურნემ შაურად უნდა ასწონოს გირვანქა ნახევარი პური, (გირ. $3^1/_4$ კაპ. ღირს, ხოლო ნახევარი გირვანქაც $1^5/_8$ კაპ. ასე, რომ როცა გირვანქა ნახევარს გაყიდის, ერთი მერვედი კაპ. კიდევ მოსაგები რჩება), მაგრამ ასე როდი ინება ამ ვაჟბატონმა, გირვანქა

ნახევრიანი გირის ნაცვლად სასწორზე დადო $1\frac{3}{8}$ გირ. ეს მუშებმა შენიშნეს და რასაკვირველია, უსაყვედურეს, რატომ როგორც რიგია ისე არა სწონავო. მეფურნემ იწყინა ეს, როგორ თუ ჩემს ფურნეში მე დარიგებას მიბედავენო და დანა მოიმარჯვა ხელში: ჩემი ნება ასეა პური ჩემია და როგორც მინდა ისე გავყიდიო. ყოველ ამის შემდეგ, რასაკვირველია, საჩხუბრად მომზადებულ მეფურნესთან სამი კაცი ვერას გააწყობდა, მით უფრო, რომ, მას სხვაც ბევრი აღმოუჩნდა მოსარჩლე. მეტი რა გზა იყო, წავიდნენ და ყოველივე ეს მე-9 ნაწილის პოლიციას შეატყობინეს. მუშებმა იქიდგან წამოიყვანეს პოლიციელი მივიდნენ მეფურნესთან. პოლიციელის დანახვაზედ ძლიერ შეშინდა მეფურნე, ის იყო თავისი მრისხანე ლაპარაკი ბოლომდის მოხდაზედ კინაღამ შესცვალა, რომ ამ დროს მეფურნემ თვალი უყო პოლიციელს და ისიც ხელად გადაუდგა მუშებს. მეფურნემ რაკი პოლიციელი თავისკენ მიიმხრო, უფრო თავს გავიდა და გინებითა და ლანძღვით გაისტუმრა ეს სიმართლის მაძიებელნი. მუშებმა მაინც არ გაანებეს თავი, და ახლა სავაჭრო პოლიციას მიჰმართეს. აქ მე-9 განყოფილების აგენტი ბ-ნი თომაევი დახვდათ ამან გამოჰკითხა ყოველივე გარემოება, ჩაიწერა, როგორც მეფურნის, აგრეთვე მუშების გვარი და ადრესი და შეჰპირდა ხვალ მოვალ და განვიხილავ მაგ საქმესაო. მართლაც, დაპირებისამებრ მოვიდა ბ-ნი აგენტი. წაიყვანა მუშები მეფურნესთან და დარწმუნდა, რომ ყოველივე მათმიერ ნათქვამი სიმართლე იყო. საქმე ეხლაა მხოლოდ, იმან არიდა, რომ ბ-ნი აგენტი ვერ გამოდგა კაი ანგარიშის მცოდნე. იმას მეოთხედების, მერვედების და ამისთანა წვრილმანების შეერთება რაღაც არ ეხერხებოდა. მოატაინა „ჩოთქი“ გაგდ-გამოაგდო, ბევრი იწვალა, დიდხანს იხეთქა თავი, მაგრამ ვერ იანგარიშა და ვერა თუ შაურად რამდენი პური უნდა აეწონა მეფურნეს. ამიტომ მეფურნის გამტყუნებას ისევ მუშების გამტყუნება არჩია და საქმეც ამ გამტყუნებით დაბოლავდა. ასე ექცევიან მეფურნეები ყველა იმათ, ვისაც შაურის, ან ცოტა მეტის, ან ნაკლების, პურის ყიდვა უნდა. ხოლო ვინ არ იცის, რომ უმეტესი ნაწილი მუშა ხალხისა ასე ცოტ-ცოტაობით ყიდულობს პურს. საჭიროა, რომ ყოველსავე ამას უფრო მეტი ყურადღება მიექცეს.

დამსწრე.

*** **ოზურგეთი** მეკეთლეთა ამხანაგობის გამო. ბატონო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთის მე-815 ნომერში მოთავსებულია ვიღაც ბალის-უბნელის წერილი ოზურგეთიდან თავისუფალ მეეტლეთა ამხანაგობის კრების შესახებ. რადგან ეგ წერილი პირდაპირ ჩვენ შეგვეხება, ნება მიბოძეთ, რომ საზოგადოების წინაშე თავი გავიმართლოთ და მოამბის სიცრუე გამოვააშკარავოთ. შევეკითხებით ბ. ბალის-უბნელს: რომელ არა ჩვეულებრივს კრებაზე ლაპარაკობს იგი თავის აჭრელებულს ვითომდა ირონიულს წერილში? 6 თებერვალს შემდეგ აქ არავითარი კრება არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რევიზიის წევრების შეგროვებას და საქმეების გასინჯვას. ბ. ბალის-უბნელი კი ამბობს, რომ დ. მურვანიძის მოწვევით შესდგა არა ჩვეულებრივი კრება, განიხილა ანგარიში და აღმოაჩინა ის უძირო „ფულურო“, სადაც მეორე თვის ანგარიში ჩაფლულა. ამიტომ უნდა მოვახსენოთ საზოგადოებას, რომ ბ. ბალის-უბნელის წერილი სრულიად მოკლებულია სიმართლეს და პასუხსაც კი არ გავსცემდით, მაგრამ არც სიჩუმე ვარგა. აი საქმე რაშია: მართალია ბ. მურვანიძემ წევრობას დაანება თავი და თავისი ხვედრი ფული გაიტანა, მაგრამ აქ იგი ხელმძღვანელობდა სულ სხვა და კერძო მიზეზით; ეს უფრო იქიდგან სჩანს, რომ დანარჩენს ოთხს წევრს (ნ. თავდგირიძეს, გ. გიგინეიშვილს, ს. ვაშლომიძეს და ს. ქეიშვილს) არაფერი ცუდი არ დაუნახავთ ამხანაგობის მოქმედებაში. ც როგორც პირველ თვეში, ისე მეორე თვეში წასაგები არ გვიჩვენებია. აი საქმე ასე იყო და არა ისე, როგორც მოჰქონდა მოამბეს.

მმართველი ამხანაგობისა რაჟდენ წუწუნავა.

*** **ს. შაშიანი** (კახეთი). ცრუ ექიმბაშების ოინები. ს. შაშიანი კარგა მანძილზე მდებარეობს როგორც თელავიდან აგრეთვე ველისციხიდან, სადაც იმყოფება ექიმი თავის ფერშლით და აფთიაქი. ამ სოფელში ძალიან ხშირია ხოლმე ავადმყოფობა მეტადრე ზაფხულში „ციებით“. ეს უკანასკნელი იმით აიხსნება, რომ ამ სოფელს არა აქვს კარგი თვისების წყალი და კიდევ იმით, რომ ზაფხულში მთელი სოფელი ბოლოზე არიან ყანის მკაში, კალოობას და ვენახებში. ზაფხულში მკის დროს, ყანას მკიან სოფლის მცხოვრებნი, ამ სიცხე-პაპანაქება დღეებში იღლებიან და მთლათ ოფლში ჰცურავენ, თან დაღლილ გულზე ალაზნის წყალსა სვამენ, დასასვენებლად დასხდებიან ისე როგორც მუშაობდნენ პერანგის ამარა მინდვრის ნიავზე. კალოობის დროს გლეხკაცი მთელი ოჯახობით წავა კალოზე და დაჰყოფს იქ რამდენ-სამე კვირას, მანამ ლეწვას გაათავებენ; იქვე სძინავთ კალოზე ცის ქვეშ, წვიმა მოვა და შესაფარი არა აქვთ. რასაკვირველია, ესენი ალაზნის დამპალ ჰაერზე და წყალზე, მალე და ბევრნი გახდებიან ავად ციებით. ასეთ ავადმყოფობას ხომ ყველამ ვუწყით, რომ „ქინაქინის“ მეტი არაფერი უნდა სხვა. ხშირად ვერ ირჩენენ ციებას და სხვა ავადმყოფობად გარდაექცევათ ხოლმე. ვერსად წასულან წამლისათვის სიშორის გულისათვის და ერთი კაცის ჩაგონებით. ეს კაცი გახლავთ ერთი ბებერი იმერელი გ—ძე, რომელსაც თავის თავი ექიმების სიაში აქვს ჩაწერილი. გლეხიკაცი რომ სხვაგან მიდიოდეს საწამლავად, ეს კაცი დახვდება ც ურჩევს: „სად მიხვალ, შვილო, მაგ სიშორეთი, აი მე გიწამლებ და ორ კვირაზე თუ არ მოგარჩინო რაც გინდა მიყაო“. ის კი არა და ორ კვირაზე საუკუნოთ არჩენს ეს სახელოვანი სოფლის ექიმი. ამ წარსულ შემოდგომაზე მე თვითონ გახლდით ს. შაშიანში. ერთი ახალგაზდა კაცი ვნახე, რომელსაც მარჯვენა ფეხი დასივებოდა და იარა გამოსჩენოდა, ისე დაედნო და დაესუსტებინა, რომ მუშაობა აღარ შეეძლო. მე ვურჩიე წასულიყო ველისციხეში ან თელავს და სჩვენებოდა ექიმს. ეს კაცი დამთანხმდა და მოემზადა წასასვლელად. მეორე დღეს ისევ შემხვდა. მე ვკითხე: „რა გითხრა ან რა წამალი მოგცა“. ამ კაცმა ტკივილისაგან შეწუხებულმა ამ კითხვაზე მომიგო: „დილით ავდექი უნდა წავსულიყავი, როგორც ხევს გადაველი დამხვდა გ—ძე, რომ გაიგო საცა მივდიოდი და რისთვისაც, მითხრა: აბა სად მიხვალ, შვილო, მაგ სიშორეზე, დოხტურებმა რა იციან მაგისი, მე დაგადგები გიწამლებ და უეჭველად მოგარჩენ, ცოტა კი ეხლა მომეცი, წამლისთვის და სხვა მერე მომეცი, როცა გაგანთავისუფლებო“. რა ვიცი ძაან იმედი მომცა და იმისთვინ აღარ წაველი. მე ვურჩიე კიდევ აელო იმისგან ხელი და წასულიყო. მერე აღარ მახსოვს სწორედ მგონია 3 კვირის უკან იყო, ერთი იმისი ნათესავი მოვიდა, ვკითხე, რომ შენი ნათესავი მოარჩინა თუ არამეთქი. იმას ჩემს კითხვაზე მწარედ გაეღიმა და მითხრა: „ეს ხუთი დღე იქნება, რაც იმ ფეხის ტკივილმა მოიდნო, იმ ჩვენმა ბაქიამ ტყუილად ხელზე დაიხვია და ვერაფერი კი უშველა და არც სხვაგან გაუშვაო“. იმედია ეს ზემოაღნიშნული მაგალითი არ დარჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა; ადგილობრივი მამასახლისი მიაქცევს ეხლა მაინც ყურადღებას და აუკრძალავს მას ასეთ მოქმედებას.

თელაველი

*** **ს. ზანა** (სამეგრელო). აბრეშუმობა. აბრეშუმის მოყვანამ ჩვენში ყველა მეურნეობის დარგს გადააჭარბა. წრეულს ჩვენში იმისთანა ოჯახს ვერ შეხვდებით, თავადი იყოს, თუ აზნაური, თუ გლეხი, სადაც ორი-სამი კოლოფი, ან ერთი და ან ნახევარი მაინც არ გამოეშვას და თითქმის ყოველგან კარგად არის, მაგრამ ძლიერ გაგვიჭირა საქმე ფურცლის უქონლობამ, ღმერთმა თუ კარგი დარი შეგვახვედრა ამ ყაჭობაში და მასთან თუ საკმარისი ფურცე-
ლი ვიშოვნეთ, სულ ცოტა რომ
ვიანგარიშოთ, ხუთი ათასი მანეთ
მაინც შემოვა მარტო ზანაში. ეხ-
ლა მოგახსენებთ თესლის დარიგე-
ბის შესახებ. როცა თესლის და-
რიგების დრო მოვიდა, მამასახ-
ლისმა ყრილობაში გამოაცხადა,
რომ თესლი, რომელიც წითელ
ლაქით დაბეჭდილია კარგის თვი-
სებისა არის და შემოწმებულია,
ხოლო სხვანი აღარ ვარგაო. მოიტა-
ნა თესლი აქ ორმა კაცმა, დაბეჭდი-
ლი თვით მამასახლისმა და და-
ბეჭდავი ერთმა აქაურმა ვაჭარმა.
დაბეჭდილი შემოწმებული იყიდე-
ბოდა ოთხ მანეთად, დაუბეჭდავ-
კი სამ მანათად. მურობის დრო
ყაჭი (მური ახლად გამოსული ყა-
ჭი) შემოწმებულის თესლისა ხში-
რად გაფუჭდა, ასე რომ 10—1
კარობკა უკანვე დაუბრუნეს
მომცემელს, პარკობის დრო მო-
რჩილია და ვნახავთ რომელი სჯ-
ბია ყაჭი. ამ დროებით უფრო ხში-
რად მეხუთე მოზარდობაში გად-
სულია, ე. ი. ჩვენებურად რო-
იტყვიან, დიდს კანში (ქერქში)
წვება. სასურველია მთავრობა ყუ-
რადღებას მიაქცევდეს და პარ-
საწყალ გლეხების პირველი ცხო-
რების სახსარი, არ ჩაუვარდებ-
დეს სოფლის მატყუარა ჩარჩე-
ჩალის ფასად.

გურულ-მეგრელ

## ქართველები ციმბირში.

ამის წინეთ გაზეთ „ცნობ. ფურ-
ცელში“ 731—735 წავიკით-
„ქართველები ციმბირში“. ამ
რემოებამ გამომიწვია მეც მოვ-
სენო მკითხველთ ორიოდე სი-
ყვა ამ საგნის შესახებ. ციმბირ-
მე ვცხოვრებდი სულ ერთი წელ-
წადი და ხუთი თვე. ორი ძმ
1897 წელს გადაგვასახლეს იქ
ნაშაულობისათვის: მე ტომს-
და ჩემი უმცროსი ძმა ირკუტს-
გუბერნიაში. ოთხ ივნისს 18
წელს გამიშვეს ქალაქ მარინსკ-
ოთხს დეკემბერს 1898 წე-
ჩამოვბრუნდი ჩემს სამშობლო-
ოთხის თვის ვადით. ჩემს ციმბ-
ში ყოფნის დროს მოვასწარი
ვე გუბერნიებში ცხოვრება. ე-
წელიწადი დავყავ ქ. მარინსკ-
დანარჩენი დრო ქ. ირკუტსკ-
ამ გუბერნიაში ერთად ჩემ ძ-
თან. ეს დრო და მასთან ის
რემოვბა, რომელიც გამოვი-
სრულიად საკმარისი იყო კა-
თვის, რომ მას საკმაოდ გაე-
ციმბირი და იქ ჩვენი ქართვ-
ერის ცხოვრების ავკარგიანო-
როგორც ეტყობა ავტორს
ლიხელს გარდა ქ. ტომსკისა არ-
ბრძანებულა და არც იქ დასახლე-
გაგზავნილთაგანი ყოფილა, ამი-

...ათაკილო არ არის თუ მისი ალ-...ილობა რამოდენიმე ნაწილი ...მდვილეს მოკლებულია. ციმ-...რელი ვერ კმაყოფილდება, რო-...აც ის კითხულობს აღნიშნულ ...ეთებში „ქართველებს ციმბირ-...“. როგორც ბევრს მკითხველებ-...ჯანს მოეხსენება, ციმბირის ქვე-...ა შესდგება ოთხი უმთავრესი ...ბერნიებიდან: ტობოლსკის, ტომ-...ის, ენისეისკის და ირკუტსკის, ...თან რამდენიმე ობლასტებიდ-...ნ. ტობოლსკის გუბერნიაში მე ...ვყოფილვარ, მაგრამ როგორც ...იგონია ამ გუბერნიაში და ტომ-...ის გუბერნიაში შესაბამად ძრიელ ...ტანი ცხოვრობენ ქართველე-...—გადასახლებულნი. ქართველე-... ბევრნი არიან ქ. ირკუტსკში ... ახლო-მახლო ამ გუბერნიაში. ... უფრო ბევრს ჰგზავნიან ჩვენე-...რ კაცს, როგორც შორეულ ...მბირში და უფრო მეტი დანა-...ულობის ჩამდენს, კატორღებიც, ...მდეგ კატორღის ვადის გათავე-...ბა აქ იყრიან თავს და ამისთვის ...რთველები და მათი ცხოვრება ... უფრო თვალ საჩინოა. ქარ-...ელები ციმბირში მართლაც კარ-...ო ცხოვრებენ, მაგრამ უფრო ...რგათ იქნება მათი საქმე, რომ ...ლ შემატკივარი ვინმე ჰყავდეთ ... ხელს არ უშლიდენ. ამას აშ-...რად ვიტყვი, რომ ჩვენი ქარ-...ელი კაცი, სადაც უნდა იყოს ...ა უშავს და ყოველისფრის კარ-...ს ღირსია. თუ რა არის ჩვენი ...ყანა და მისი შვილები, ეს არა-...ნ ჩვენთაგანმა არ იცის, მანამ-...ნ, სანამდისინ ის მისს სამშობ-...ოის საზღვარს გარეთ არ გასცი-...ებია, გარეშე ერი არ უნახავს ... მათ ცხოვრებას არ გაიცნობია. ...რთველებისათვის შემწე და შემ-...ალებელი იმდენად საჭირო არ ...ის, რამდენათაც საჭიროა, რომ ... დამაბრკოლებელი და ხელის ...შლელი არ ჰყავდეს. მიუხე-...ვათ იმისი, რომ ჩვენი კაცი სწავ-...ულია თუ უსწავლელი, თუ გა-...უცდელი, შესაფერათ გარემოე-...ა შეუძლია გაართვას თავი მისს ...ჭირვებას და ის არასოდეს არ ...ემორჩილება, როგორც სხვა ...ის კაცი უბედურებას. მე დამარ-...უნა ციმბირში ქართველების ...ოვრებამ, რომ ქართველი კაცი ...მმარიტათ გაჭირვებისათვის არის ...ბადებული. გაჭირვება ქართველე-... სკოლაა და გამწრთვნელი, ...მინ როდესაც ის სხვა ერის კა-...სთვის დაკვლაა და ბოლოს მო-...ები. ჩვენი კაცის იქ ცხოვრება-... კურდღელზე ნათქვამი ანდა-...მოაგონდებოდა ადამიანს: „კურ-...ელმა სთქვა გაჭირვება მიჩვენე ... გაქცევას დაგანახვებო“ მართ-...ც რა უნდა ყოფილიყოს იმის-...ა, რომ ჩვენი კაცი გაუტება,

ქართველს ვერ გადაეტანა და სულით გულით დაცემულიყო. როცა სხვა ერის კაცი გაჭირვებაში ჩავრდებოდა, შიმშილი, წყურვილი, სიშიშვლე დაუახლოვდებოდა, მაშინათვე სულით დაეცემოდა, რაც გინდ ვაჟკაცი იყოს იმ დღიდან ვერ მობრუნდება კაცობრივ მდგომარეობაზედ და წმინდათ გაქივან ებოდა. *) ხოლო ჩვენი კაცი არასოდეს არ მიაღწევს ამ მდგომარეობამდინ და გაჭირვებულს გაუჭირვებელში იშვიათად გამოიცნობ ხოლმე. ქართველები ქივნის მდგომარეობას სასტიკად უფრთხილდებიან. ასინი ტანჯვით ძაგძაგებენ, როდესაც უყურებენ რო ეს ვეება, მოსული, ოცდა ხუთის წლის ვაჟკაცი ჩამოთხელებულ, ჩამოწეწილი მიდგომია აკოშკას და და პურის ნატეხს თხოულობს. ფიქრობს და ღმერთს ეხვეწება თუ ეს დღე მომდევს, რამდენიმე ხნით ადრე გამომასალმე ცხოვრებასო და ამისათვის თავგამეტებული იბრძვის ლუკმა პურისათვის, რომლის მოპოვება დღემდინ თუ გასაჭირი იყო, აწი კი არ არის შეუძლებელი, რადგანაც დღეს ციმბირი არ არის რაც ყოფილა და მალე იქნება ეგ დღემდინ ზარ დაცემული ქვეყანა ბევრისთვის სანატრელი, რომელნიც არა იძულებულნი წაბრძანდებიან იქ ცხოვრების საშუალების მოსაპოვებლათ.

ფარნა გეგელია.

(შემდეგი იქნება)

## რჩეული აზრები

—

✦ ვინც ბევრი მეცნიერება იცის, მაგრამ კეთილი საქმენი არ იცის, იმან არაფერი არა იცის-რა.

✦ ბედნიერია იგი, რომლისთვისაც ბევრიც და ცოტაც სამყოფია.

✦ ქვეყნად ჭკვიანი სულელებიც არიან, ხოლო გონიერი სულელები კი იშვიათია.

✦ როგორც კლიტეს აღებს ხოლმე გასაღები, აგრეთვე კითხვა აღებს ხოლმე ცოდნის გზას

## ყურმოკრული საუბარი

—

ჯიბგირების საუბარი. ბიჭო, შე ღმერთ გამწყრალო, განა ასეთი ჰორშაგობა შეიძლება, ექიმთან სწამლობ ისიც მუქთად და მადლობის მაგიერ ოქროს საათი ამოაცალე?

— მაშ, რა მექნა, იმან თავის წამლობით კინაღამ სული ამომაცალა და მე საათიც არ ამომეცალა.?!

*) ქივანი ჰქვიან თავზედ ხელ აღებულ კაცს, მუდამ დღე გამოუფხიზლებელს, ყოველგვარს ავ საქმის ჩამდენს, მასთან უსირცხვილო მათხოვარს, რომელიც პურის ნატეხს თხოულობს, შემდეგ ამას ან ყი-დის ანუ ცვლის არაყში და მითი თვრება.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

18 მაისი.

**პეტერბურგი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ ქ. ალექსანდრიაში მოსალოდნელია შავი ჭირი.

**ხაბაროვსკი.** იაპონიის მთავრობამ შეუკვეთა 23 ახალი სხვა და სხვა გემი.

**გააგა.** პირველის კომისიის ორსავე მცირე კომისიას, სამხედროსა და საზღვაოს, სხდომა ჰქონდა, რომელზედაც განაგრძეს თავიანთი მუშაობა. მესამე კომისიის მცირე კომისიამ დღეს განიხილა რუსეთის წინადადება სამედიატორო სასამართლოს დაარსების შესახებ. პირველი ექვსი მუხლი მიღებულ იქმნა მცირეოდენის შესწორებით. იტალიის წარმომადგენელმა გრაფმა ნიგრამ დაიცვა იტალიის წინადადება შუამდგომლობისა და სამედიატორო სასამართლოების შესახებ, რომელიც გამოიწვევს ზოგიერთ ცვლილებას რუსეთის წინადადებაში. შეერთებულ შტატების მხრივაც შეტანილ იქმნა რამდენიმე წინადადება. ამ წინადადებათა ძალით, თუ დავა ასტყდა ორს სახელმწიფოს შორის, თითოეულმა მათგანმა უნდა დაასახელოს ის სახელმწიფო, რომელსაც მონაწილეობა არ აქვს დავაში და რომელსაც შეუძლიან იმოქმედოს მათ შორის, როგორც მედიატორემ. იტაალიის წინადადება შეიცავს დადგენილებას, რომლის ძალით შუამდგომლობა ანუ სამედიატორო სასამართლო ხელს არ უნდა უშლიდეს საომრად მზადებას. არც ამერიკისა და არც იტალიის წინადადება ჯერ არ განუხილავთ.

**არიზი** დერულედისა და გაბერის საქმე. ჩვენების ჩამორთმევის დროს გაბერმა განაცხადა, რევოლიუციის მოხდენა მინდოდაო. აქებს დერულედს, რომელსაც თავისი უფროსი უწოდა, ილაპარაკა „პატრიოტთა ლიგის“ შესახებ, შემდეგ წაიკითხა გრძელი წერილი, რომელშიაც წინააღმდეგობას უცხადებს საპარლამენტო წყობილებას. თავმჯდომარემ მიჰმართა დერულედს და განაგრძო ბრალდება. დერულედი აცხადებს, მე წესიერების დარღვევა კი არა, აღდგენა მინდოდაო. ის ეთანხმება ბრალდების ყველა მუხლებს, გარდა იმისა, თითქო მას სურდა არა მარტო ჯარის კაცთა, არამედ გენერლების მიმხრობაც. თავმჯდომარე მიუბრუნდება გაბერს, რომელიც დაწვრილებით განმარტავს საქმის ვითარებას. სასამართლო იწყებს მოწმეთაგან ჩვენების ჩა-

მორთმევას. როჟერი: დერულედმა ჩემს ცხენს ლაგამში ხელი სტაცა. მაგრამ მე იგი მოვაშორე ცხენსაო. მანიფესტანტები ყვირილით მომდევდნენ: ჯარს გაუმარჯოსო!“ დერულედი ჩემს ახლო მოდიოდა და მირჩევდა პარიზში ჩავყოლოდი. ზოგიერთმა აფიცერმა და ჯარის-კაცებმა განაცხადეს, რომ დირულედი ჰყვიროდა „ჯარს გაუმარჯოსო“. სხდომა ხვალისათვის გადაიდო. ისმის ყვირილი: „გაუმარჯოს დერულედს“.

**პარიზი.** დრეიფუსის საქმე. ბალო-ბოპრემ წაიკითხა მორნარის ბარათი და იხსენიებს იმ ფაქტებს რომლებზედაც დაფუძნულია ქ-ნის დრეიფუსის მოთხოვნილება საქმის გადასინჯვის შესახებ,—სახელდობრ ეს ფაქტებია: ანრის სიყალბე და ანრისა და პატი-დეკლამის მოქმედება დრეიფუსის წინაალმდეგ. ანრის ჩვენებას სამხედრო სასამართლოზედ დიდი გავლენა ჰქონდა, თუმცა საბუთებზედ დაფუძნებული არა ყოფილა. ლეპინი-კი ამბობს, რომ ანრის თავისე ეჭირა, როგორც მოსამართლესაო. ანრიმ შესძახა: „დამნაშავე აქ არის! ეს მე კარგად ვიცი, შემიძლია დავიფიცო!“ ამ სიტყვებმა დიდად იმოქმედა მოსამართლეებზედ. შემდეგში ანრი სცდილობდა ხელი შეეშალა პიკარის საქმისათვის, რომელსაც უნდოდა დაერწმუნებინა ბუადეფრი, ბორდერო ესტერგაზის დაწერილიაო. შემდეგ მორნარის ბარათში მოხსენებულია ფაქტები ესტერგაზის შესახებ და პატი დეკლამის მოქმედება იმ განზრახვით, რომ შეეტყობინებინა ესტერგაზისათვის საქმის ვითარება და აღმოეჩინა მისთვის საშუალება განსაცდელის ასაშორებლად. მომხსენებელი განაგრძობს საქმის გადასინჯვის სასარგებლოდ იმ მოსაზრებათა ჩამოთვლას, რომელთაც მორნარის ბარათი შეიცავს. ბარათი იმას დასკვნის, რომ ბორდეროში ყველა ისეთი საბუთებია, რომელთა მიხედვით დანაშაულის ჩადენა ესტერგაზს უნდა დაჰბრალდეს და არა დრეიფუსს. მორნარი სცდილობს დაამტკიცოს საიდუმლო dossier-ის უაზრობა და იმ აზრის უსაფუძვლობა, ვითომ დრეიფუსს თვითონ აღეარებინოს თავისი დანაშაული. სხდომა გადაიდო ხვალისათვის.

**პარიზი.** ოთხის საათიდგან სასამართლოს შენობის გარშემო დიდი მოძრაობაა, საზოგადოება გატაცებით ჰყიდულობს გაზეთებს, პოლიციელები ჰფანტავენ ხალხს.

პალატამ უარ-ჰყო ზოგიერთი ცვლილება, რომელთა ხარჯთ აღრიცხვაში შეტანაც სენატმა დაინახა საჭიროდ. ხარჯთ აღ-

რიცხვა ისევ სენატს დაუბრუნდება.

**მადრიდი**, კასტელიარის დასაფლავებას აუარებელი ხალხი დაესწრო. გზაში ხალხი უკმაყოფილებას უცხადებდა იეზუიტებს, ფინანსთა სამინისტროს წინ ხალხი ჰყვიროდა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას“! სასაფლაოსთან მისვლის დროს ხალხი სცდილობდა იქ შესვლას, მაგრამ ჟანდარმებმა არ გაუშვეს და ჩხუბი ასტყდა. კუბო ჩაუშვეს საფლავში საღამოს 8 საათზედ, ხალხი წყნარად დაიშალა.

**პარიზი**. საადმინისტრაციო სასამართლო. დერულედი ლაპარაკობს ლუბესა და იმის არჩევის შესახებ. თავმჯდომარემ სიტყვა შეაწყვეტინა და სთხოვა, კამათში ლუბეს ნუ გაურევთო. რადგან დერულედმა განაგრძო ლუბეს წინააღმდეგ ლაპარაკი, ბრალმდებელი ადგა, საზოგადოებაც წამოდგა და ხმა-მაღლა მიეგება დერულედს. თავმჯდომარე აპირებდა სხდომის მოსპობას. დერულედის ვექილმა, ფალატეფმა ბოდიში მოიხადა თავისის მარწმუნებლის სახელით. წესიერება აღდგენილ იქმნა. დერულედი დასასრულ ამბობს, მე რევოლიუციის მოხდენა განვიზრახე საპარლამენტო წესწყობილების წინააღმდეგაო, ნაფიცი მსაჯულები დააფასებენ იმ გრძნობას, რომელსაც მე ვემორჩილებოდიო.

**პარიზი**. „Eigaro“ იუწყება, რომ კრეზოს ქარხნის ყველა მუშებმა მუშაობა აღკვეთესო. მუშაობა ყველა სახელოსნოში შეჩერებულია.

**პარიზი**. სასამართლოს შენობის გარშემო სიწყნარეა. მთავრობამ ისეთივე ზომები მიიღო, როგორიც გუშინ. სხდომა დრეიფუსის საქმის გამო დაიწყო შუადღისას. ბალო-ბოპრემ განაგრძო მოხსენების კითხვა. ბალო-ბოპრემ განაცხადა, რომ თვით დავასახელებ იმ საბუთებს, რომელიც შეიძლება საქმის ხელ-ახლად განხილვის წინააღმდეგ იქმნას ჩათვლილი. ჩემის აზრით 1894 წელს დრეიფუსის საქმის განხილვის დროს სამხედრო სასამართლოს წევრებმა დრეიფუსის ყველა საბუთის ქაღალდები არ აჩვენეს. როგორც არა იურისტები, ისინი შეცდომას ვერა ხედავდნენო. საქმის ხელ-ახლა განხილვის მოწინააღმდეგეთა აზრით, ის საბუთის ქაღალდი, სადაც ნათქვამია: „ეს საზიზღარი დ.“ (სულ ერთია ეს ქაღალდი დრეიფუსს შეეხება თუ არა) ახალს ისეთს არაფერს იძლევა, რომელიც დრეიფუსის უდანაშაულობას ამტკიცებდესო. იმათის აზრით, საქმის ხელ-ახლა განსახილველად არა კმარა აგრეთვე ანრის დრეიფუსის საქმეში ჩარევა და პატი-დეკლამ და ესტერგაზთან ერთად იმის მოქმედება. ისინი ამბობენ, რომ დრეიფუსის დანაშაულობას თვით ბორდეროს შინაარსი ამტკიცებსო. ბალო-ბოპრემ ჩამოთვალა ბორდეროზედ დამყარებული ის საბუთები, რომელნიც დრეიფუსის წინააღმდეგია. მე იმ დასკვნას დავადექიო, —განაცხადა ბალო-ბოპრემ,— რომ ბორდერო მაიორ ესტერგაზის დაწერილიაო. (ხანგრძლივი მოძრაობა გაისმა. ბოპრეს უკანასკნელმა სიტყვებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია).

**პარიზი**. დერულედის საქმე. დიდ-ძალმა ხალხმა მოიყარა თავი. დერულედსა და გაბერს ტაშის ცემით მიეგებნენ. სასამართლომ განაგრძო დანარჩენ მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა.

19 მაისი

**პარიზი**. დერულედის საქმე. კრების განხილვისას მოისმინეს რამდენიმე სხვა მოწმის ჩვენება. შემდეგ კრება დაიხურა. გაისმოდა ყვირილი: „გაუმარჯოს დერულედს!“ შემდეგი კრება ხვალ იქმნება. არავითარი მანიფესტაცია არ მომხდარა.

**ტულონი**. გემი, რომელზედაც მარშანი იყო, მოვიდა ნავთ-სადგურში 12 საათსა 30 წუთზედ. გემს აუარებელი ნავი მიეგება. ნაპირზედ მრავალი ხალხი იდგა.

**ტულონი**. ნაპირზედ გადმოსვლისას მარშანა საპარადო ფორმაში იყო. ხალხი სიხარულით მიეგება. მაშინვე მარშანი საზღვაო პრეფექტურაში წავიდა, იქიდგან ქალაქის რატუშაში. იქ მარშანმა საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ ჩემმა რაზმმა შიში მხოლოდ ორჯელ გამოსცადაო: ერთი ფაშოდასთან მიზნის მიღწევის დროს, როდესაც საფრანგეთის დამცირების ამბავი შევიტყეთ და მეორეც სამშობლოში დაბრუნებისას, როდესაც გემი დავინახეთ და გავიფიქრეთ რა მდგომარეობაში ვნახავთ საფრანგეთსა, რადგანაც ჩვენამდი მოაღწია ხმამ, რომ ერი ჯარის წინააღმდეგიაო. ამ ჟამად-კი, —სთქვა დასასრულ მარშანმა,— სულ სხვასა ვხედავთ, რადგანაც ის პატივისცემა, რომელსაც ჩვენ გვიწევენ, ჯარის პატივისცემააო. თავისი სიტყვა მარშანმა ასე დაამთავრა: “გაუმარჯოს საფრანგეთს! გაუმარჯოს ჯარს! გაუმარჯოს რესპუბლიკას“-ო.

**პარიზი**. ასსიზთა სასამართლო. კოპპემ დიდად შეაქო დერულედი და სთქვა, იმედი მაქვს, რომ ნაფიცი მსაჯულნი გაამართლებენო. დეპუტატმა ლაზიმ სთქვა, დიდად ვწუხვარ, რომ ბრალდებულთა სკამზედ არა ვზივარო. გენერლებმა ერვემ და ლანმა შეაქეს დერულედის ყოფა-ქცევა 1870 წლის ომის დროს გენერალმა მანნარმა შეაქო დერულედი მშვიდობიანობის დროს მოქმედებისათვის (აღელვება; ბევრნი სტიროდნენ). ბარრესმა ლაპარაკი დაიწყო ლუბეს არჩევის შესახებ, მაგრამ თავმჯდომარემ შეაჩერა. შემდეგ მოუსმინეს პროკურორს. დასასრულ ბორეპერმა სთქვა, რომ დერულედი და გაბერი ისე მოიქცნენ, როგორც მოიქცეოდნენ მამა-კაცნი ისეთ დროს, როდესაც მამა-კაცი აღარ მოიპოვებაო. რამდენსამე მოწმის ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ კრება შეაჩერეს.

**მადრიდი**. დედოფალმა მო-
რა დეკრეტს, რომლითაც მარ-
ლი კამპოსი სენატის პრეზიდ-
ტად იქმნა დანიშნული.

**პარიზი**. სენატმა ხმის უმ-
სობით შეიწყნარა ხარჯთ-აღრი-
ვა.

სადამოთი შეწყვეტილი კ-
პალატისა განახლებულ იქმნა
მის 12 საათსა და 15 წუთ-
პრეზიდენტმა განაცხადა, რომ
ნატმა შეიწყნარა შესწორებ-
პალატის მიერ მოწონებ-
ხარჯთ-აღრიცხვაო. კრება დ-
რულდა.

# განცხადებანი


**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 ГОДЪ**

**НА ЛИТЕРАТУРНЫЙ И НАУЧНО-ПОПУЛЯРНЫЙ ЖУРНАЛЪ**

для самообразованія

ТРЕТІЙ Г. ИЗД. **МІРЪ БОЖІЙ** ТРЕТІЙ Г. ИЗД.

*Выходитъ 1-го числа каждаго мѣсяца въ размѣрѣ не менѣе 25 печ. листовъ.*

1899 году журналъ будетъ издаваться по той же программѣ и п... томъ же составѣ редакціи и сотрудниковъ, причемъ для напечатанія пр... толагается, между прочимъ, слѣдующее:

БЕЛЕТРИСТИКА ОРИГИНАЛЬНАЯ: «Освободилась», романъ А. В... (ишкой; «Риштау», повѣсть В. Сѣрошевскаго; «Отъ Волги до Портъ-Артур... путевые очерки), Н. Гарина; «Душная ночь» (Изъ степныхъ очерковъ), раз... Ю. Безродней; «Каинъ и Артемъ» (Изъ жизни босяковъ), разск. М. Горь... го; «Въ ночной смѣнѣ», разсказъ изъ военнаго быта А. Куприна;; разска... г.г. Бунина, Патапенко, Станюковича, Чирикова

**Научныя статьи и сочиненія.** «Антропологическіе очерки» про... Брандта: «Современное положеніе вопроса о гипнотизмѣ», .В Битнера; «Ч... льзъ Парнель», Ев. Тарле; «Очерки по исторіи русской культуры», ча... Ш. П. Милюкова. «Александръ I и его время», А. Прѣсякова: «А. С. Пу... кинъ (юбилейная статья) Ив. Иванова; «В. Г. Короленко», Ив. Ивано... «Ада Негри», В. Фритче: «Очерки по соціальной экономіи», прив.-доц. ... Туганъ-Барановскаго; Послѣдствія переворота въ земледѣліи», Л. Крживиц... го; «Положеніе труда въ Аангліи», Л. Давыдовой; «Рихардъ Авенаріусъ... эмпиріокритицизмъ», проф. Г. Челпанова; «Экспериментальная психологія, ... настоящее и будущее. д-ра философіи В. Анри.

ПЕРЕВОДНЫЯ СОЧИНЕНІЯ, «Очерки по исторіи соціальной фило... фіи», Людвика Штейна, пер. съ нѣмецкаго; «Религія красоты» (джонъ Р... кинъ и его идеи), Сизерана; «XIX вѣкъ въ различныхъ областяхъ науки, т... ники и общественной жизни», компилятивныя статьи; «Изъ исторіи тайны... обществъ у различныхъ народовъ».

Постоянные отдѣлы. Критическія замѣтки. Изъ западн... литературы. На родинѣ. За границей. Научный обзоръ. Тек... щія научныя новости. Библіографія. Новости иностранной л... тературы.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:

Съ доставкой и пересылкой во всѣ гороса Россіи на годъ 8 руб
Безъ доставки на годъ . . . . . . 7 »
За границу на годъ . . , . . . 10 »
Вмѣсто разсрочки допускается подписка:

| **По полугодіямъ;** | **по третямъ года:** |
| --- | --- |
| Съ доставкой и пересылкой во всѣ города Россіи на полгода 4 р | Съ доставкой и пересылкой во... города Россіи; |
| За границу . . . 5 р | въ январѣ . , . |
| Безъ доставки по соглашенію конторой | » маѣ . . . |
| | » сентябрѣ . . . |
| | За границу: въ январѣ |
| | » » » маѣ . . |
| | » » » сентябрѣ . |

Адресъ: С.-Петербургъ, Лиговка, 26

Подписавшіеся на полгода или на треть года продолжаютъ подписку ... повышенія подписной цѣны

Уступки съ подписной цѣны никому не дѣлается.

Издательница *А. Давыдова*. Редакторъ *В. П. Острогорскій*


Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Мая 1899 г. (სტ. „ცნ. ფურც.“) გ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. 83...